

## ოფიციალური შეტყობინება

ტექსტში გამოყენებული სიტყვები – „თქვენ“, „თქვენი“ ან „მომხმარებელი“ – აღნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც შედის ვებგვერდზე; [www.capital.ge](http://www.capital.ge); ტექსტში გამოყენებული სიტყვები – „ჩვენ“ ან „ჩვენი“ აღნიშნავს სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფს“, მის შვილობილ ან მშობელ კომპანიას, ან მასთან სხვაგვარად აფილირებულ კომპანიას; ტექსტში გამოყენებული სიტყვები – „კაუკასუს კაპიტალი“ აღნიშნავს სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფს“, მის შვილობილ თუ მშობელ კომპანიას, ან მასთან სხვაგვარად აფილირებულ კომპანიას, მის ნებისმიერ დირექტორს, მმართველი ორგანოს წევრს, თანამშრომელს თუ წარმომადგენელს.

**გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მომხმარებლის შეთანხმების წესებსა და პირობებს. წინამდებარე ვებგვერდზე შესვლით თქვენ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ წესებსა და პირობებს. აღნიშნული წესი და პირობები შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე, პერიოდულად, ჩვენი შეხედულებისამებრ. პირობებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ გეცნობებათ მათი ვებგვერდზე განთავსების საშუალებით. თქვენ მიერ ვებგვერდზე შემდგომი შესვლა ან ვებგვერდის შემდგომი გამოყენება ადასტურებს, რომ ეთანხმებით აღნიშნულ ცვლილებებს.**

### მომხმარებლის შეთანხმება

წინამდებარე ვებგვერდზე განთავსებული მომხმარებლის შეთანხმება (შემდგომში – „შეთანხმება“) არეგულირებს ვებგვერდის გამოყენების წესებსა და პირობებს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ელექტრონულ სერვისებთან, პროდუქტებთან და ინფორმაციასთან დაშვების საკითხებს. თუ თქვენ უკვე ხართ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტი, წინამდებარე წესები იმოქმედებს ჩვენ შორის უკვე არსებული ხელშეკრულების წესებთან და პირობებთან ერთად და წინამდებარე წესები არ აუქმებს ნებისმიერ სხვა შეთანხმებას ჩვენ შორის.

### ვებგვერდის გამოყენება

„კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტების მიერ „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდის გამოყენება ექვემდებარება „კაუკასუს კაპიტალს“ და კლიენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას და ასევე ოფიციალურ შეტყობინებებს, რომელიც კლიენტებს მიღებული აქვთ „კაუკასუს კაპიტალის“ ოფისში ან რომლებიც ხელმისაწვდომია „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდზე და რომელთა სათანადო ნორმები შეიძლება ჩაითვალოს წინამდებარე დოკუმენტის შემადგენელ ნაწილად.

„კაუკასუს კაპიტალი“ არ აგებს პასუხს არანაირ ზიანზე რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი პირის შესაძლებლობაზე ან შესაძლებლობის უქონლობაზე დაუკავშირდეს „კაუკასუს კაპიტალის“ ნებისმიერ ვებგვერდს. პასუხისმგებლობის ამგვარი შეზღუდვა მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) კომპიუტერული მოწყობილობებისა თუ სისტემებისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანს, რომელიც გამოწვეულ იქნა კომპიუტერული ვირუსით ან სხვა მავნე კომპიუტერული კოდირებით.

პირის მიერ „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდზე შესვლა და იქ არსებული ინფორმაციის გაცნობა არ აძლევს მას „კაუკასუს კაპიტალის“ კლიენტის სტატუსს და, შესაბამისად, „კაუკასუს კაპიტალს“ არ გააჩნია არანაირი ვალდებულება ან პასუხისმგებლობა ამგვარი პირის მიმართ მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ის შევიდა „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდზე და გაეცნო მასზე არსებულ ინფორმაციას.

ნებისმიერი საბაზრო მონაცემები რომლებიც განთავსებულია „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდზე ან მის სავაჭრო პლატფორმებზე შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის და მხოლოდ შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებით. ამ საბაზრო მონაცემების ნებისმიერი გავრცელება აკრძალულია. ვებგვერდზე არსებული ნებისმიერ მასალის გამოყენებასთან და ციტირებასთან დაკავშირებული კითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ „კაუკასუს კაპიტალის“ სარეკლამო და PR განყოფილებას.

თქვენ თავად ხართ პასუხისმგებელი მოიპოვოთ და შეინარჩუნოთ სატელეფონო, კომპიუტერული, პროგრამული და სხვა სახის აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა ვებგვერდის წვდომისა და გამოყენებისათვის. თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი აღჭურვილობისა ან/და მონაცემების დაცვასა და შენახვაზე, ასევე სათანადო ზომების მიღებაზე კომპიუტერული ვირუსების ან სხვა ზიანის მომტანი ფაქტორებისაგან თავდასაცავად.

მკაცრად გვერძობათ ჩვენი სისტემების ან წინამდებარე ვებგვერდის არასანქცირებული გამოყენება, მათ შორის, სისტემებში არასანქცირებული შესვლა, პაროლების ბოროტად გამოყენება ან წინამდებარე ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება. ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის, თუ ჩავთვლით, რომ თქვენ მიერ ვებგვერდის გამოყენება არ შეესაბამება წინამდებარე წესებსა და პირობებს, უფლებას ვიტოვებთ ერთპიროვნულად, ჩვენი შეხედულებისამებრ, შევწყვიტოთ თქვენი დაშვება ვებგვერდზე ან თქვენ მიერ ვებგვერდის გამოყენება და გავატაროთ ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელსაც მივიჩნევთ მიზანშეწონილად.

### **ინფორმაცია და პუბლიკაციები. შეთავაზების გამორიცხვა**

ნებისმიერი ფაქტი, შეფასება, ანალიზი, პროგნოზი, შეხედულება და სხვა ინფორმაცია (ერთობლივად „**ინფორმაცია**“) გამოშვებული/გამოქვეყნებული „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ,

რომელიც მოცემულია/წარმოდგენილია/ნახსენებია „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდებზე, მესამე პირების ვებგვერდებზე, მარკეტინგულ მასალებში, საინფორმაციო პერიოდულ გამოცემებში (ე.წ. „ნიუსლეტერებში“), ინდივიდუალურ (ჩვეულებრივ თუ ელექტრონულ) წერილებში, ლექციებში, სემინარებში, ვებინარებსა თუ სხვა საგანმანათლებლო მასალებში, ინდივიდუალურ საუბრებსა თუ კომუნიკაციის ნებისმიერ სხვა წერილობით თუ ზეპირ ფორმაში (კოლექტიურად „**პუბლიკაციები**“)

მოცემულია/წარმოდგენილია/ნახსენებია **მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგული მიზნებისთვის.**

თუ ამის თაობაზე სპეციალურად არ არის აღნიშნული, არავითარი პუბლიკაცია არ შეიძლება ჩაითვალოს შეთავაზებად (ან შეთავაზების მიღების სურვილის გამოხატულებად): ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტის, პროდუქტის, ან ვალუტის ყიდვასა თუ გაყიდვაზე, ინვესტიციის განხორციელებასა თუ რაიმე კონკრეტულ სავაჭრო სტრატეგიაში მონაწილეობის მიღებაზე (კოლექტიურად „**შეთავაზებები**“).

„კაუკასუს კაპიტალის“ არავითარი პუბლიკაცია (იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს პირდაპირ სპეციალურად არის აღნიშნული) არ უნდა იქნას გაგებული როგორც შეთავაზება იმგვარ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება იქნებოდა უკანონო. ნებისმიერი ამგვარი „შეთავაზებად“ აღქმული პუბლიკაცია არ აჩენს არანაირ ვალდებულებას/პასუხისმგებლობას „კაუკასუს კაპიტალის“ მხრიდან.

## გარანტიები

მიუხედავად იმისა, რომ „კაუკასუს კაპიტალი“ იყენებს სათანადო გონივრულ ძალისხმევას ინფორმაციის სანდო წყაროებზე დაყრდნობით მოსაწოდებლად, ნებისმიერი პუბლიკაცია წარმოდგენილია ე.წ. „როგორც არის“ საფუძველზე - ნებისმიერი (პირდაპირი თუ არაპირდაპირი) გარანტიის გარეშე და „კაუკასუს კაპიტალი“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი პუბლიკაციის სისრულეზე, სიზუსტეზე, შესაბამისობასა თუ შესაფერისობაზე მისი ნებისმიერი მიმღებისთვის. კერძოდ, „კაუკასუს კაპიტალი“ არ აგებს პასუხს მისი კლიენტის, მომხმარებლის, ხელმოძღვრის, პარტნიორის, მომწოდებლის, კონტრაგენტის ან სხვა მიმღების მიმართ:

- ნებისმიერი საბაზრო კოტირების უზუსტობის გამო;
- საბაზრო კოტირების მოწოდებისას დაგვიანების თუ შეყოვნების, მათში უზუსტობის, გამოტოვებების თუ შეცდომების გამო;
- საბაზრო კოტირებების მოწოდების წყვეტილობის გამო.

ნებისმიერი დათარიღებული ინფორმაცია გამოქვეყნებულად ჩაითვლება მასზე მითითებული თარიღიდან, ხოლო, თუ თარიღი არ არის მითითებული – ვებგვერდზე პირველად განთავსების თარიღიდან. პუბლიკაციები მოწმდება და ახლდება ჩვენ მიერ სათანადო გულისხმიერებით, სისტემატურად. ამის მიუხედავად, ცვალებადი გარემოებების გამო, განახლების დამდეგ პერიოდამდე, პუბლიკაციები შესაძლოა გახდეს არაზუსტი ან შეცდომაში შემყვანი გარკვეული დროის პერიოდის შემდეგ, რომელიც შესაძლოა ვარიირებდეს რამდენიმე წამიდან თუ წუთიდან რამდენიმე დღემდე, კვირამდე თუ თვემდე - ინფორმაციის გვარობიდან გამომდინარე. „კაუკასუს კაპიტალი“ არ იძლევა არანაირ გარანტიას იმის თაობაზე, რომ პუბლიკაცია არ იქნება მოძველებული და, შესაბამისად, არ აგებს პასუხს ამის გამო ასეთი პუბლიკაციის ნებისმიერი მიმღების წინაშე. თუ პუბლიკაცია გახდა მოძველებული, „კაუკასუს კაპიტალს“ არ გააჩნია ამ პუბლიკაციის განახლების, პუბლიკაციის მიმღებთა ინფორმირების ან ამასთან დაკავშირებული რაიმე სხვაგვარი ქმედების განხორციელების არანაირი ვალდებულება.

ნებისმიერი პუბლიკაცია შეიძლება წარმოადგენდეს ავტორის პერსონალურ მოსაზრებს და შეიძლება არ ასახავდეს „კაუკასუს კაპიტალის“ პოზიციას.

„კაუკასუს კაპიტალი“ იტოვებს სრულ უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს ამოიღოს, დააზუსტოს ან შეცვალოს ნებისმიერი პუბლიკაცია თუ ინფორმაცია, ამის შესახებ წინასწარი თუ შემდგომი შეტყობინების გარეშე.

პუბლიკაციები და ინფორმაცია წარმოდგენილია ყოველგვარი გარანტიის გარეშე, მათ შორის, კომერციული, კონკრეტული მიზნით ვარგისიანობის ან სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის გარანტიის გარეშე.

არ არსებობს გარანტია, რომ ვებგვერდი იმუშავებს უწყვეტად, შეცდომების გარეშე და დაცული იქნება ვირუსებისაგან.

ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას (I) ინფორმაციის სიზუსტის, დროულობის, სისრულის ან თანამიმდევრულობის, ან (II) ინფორმაციის გამოყენებით მიღებულ შედეგებზე. შესაბამისად, „კაუკასუს კაპიტალი“ ან/და ინფორმაციის სხვა გამავრცელებელი პირები არ აგებენ პასუხს სპეციალურ, შემთხვევით, პირდაპირ, არაპირდაპირ, ან შედეგობრივ ზარალზე, ასევე ნებისმიერი სახის ზარალზე, რომელიც (მიუხედავად ზარალის შესაძლებლობის შესახებ მითითებისა) შეიძლება გამოწვეული იყოს სარგებლის, მონაცემთა ან შემოსავლის დაკარგვით, რომელიც: ა) დაკავშირებული იყო ვებგვერდის გამოყენებასთან ან მის მიუწვდომლობასთან; ბ) გამომდინარეობს ან

დაკავშირებულია ნებისმიერ პუბლიკაციაში არსებული ინფორმაციის უზუსტობით; ან გ) ამგვარი ინფორმაციიდან გამომდინარე ინფორმაციის თუ დასკვნების უზუსტობით.

### რეკომენდაციის გამორიცხვა

თავის არცერთ პუბლიკაციაში „კაუკასუს კაპიტალი“ არ იღებს მხედველობაში პუბლიკაციის და მასში განთავსებული ინფორმაციის კონკრეტული მიმღების საინვესტიციო მიზნებს, ფინანსურ მდგომარეობას და სპეციფიკურ საჭიროებებსა და მოთხოვნებს. შესაბამისად, „კაუკასუს კაპიტალის“ ყველა პუბლიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა როცა საპირისპიროს შესახებ სპეციალურად არის განცხადებული, გააჩნია მხოლოდ საინფორმაციო ან/და მარკეტინგული მიზანი და არ უნდა იყოს აღქმული როგორც: (ა) ბიზნეს-, ფინანსური, საინვესტიციო, ჰეჯირების, იურიდიული, მარეგულირებელი, საგადასახადო თუ საბუღალტრო რჩევა; (ბ) რეკომენდაცია ან სავაჭრო იდეა; ან (გ) ნებისმიერი სხვაგვარი წაქეზება/მოწოდება იმოქმედოს, მოახდინოს ინვესტიცია ან ინვესტიციიდან გამოსვლა რაიმე კონკრეტული ფორმით/გზით (ერთობლივად „რეკომენდაცია“).

„კაუკასუს კაპიტალი“ არ აგებს პასუხს რაიმე ზარალსა თუ ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერი ინვესტიციიდან, რომელიც ეფუძნებოდა თითქოსდა „რეკომენდაციად“ აღქმულ პუბლიკაციასა თუ ინფორმაციას.

„კაუკასუს კაპიტალის“ არავითარი პუბლიკაცია (მათ შორის შესაძლო რეკომენდაციები), იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს პირდაპირ სპეციალურად არის აღნიშნული, არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რაიმე გარანტია (პირდაპირი ან არაპირდაპირი) იმისა, რომ პუბლიკაციის მიმღები მიიღებს მოგებას ან არ აღმოჩნდება წაგებაში, იმ სავაჭრო სტრატეგიის შესაბამისად ვაჭრობისას, რომელიც მოყვანილია პუბლიკაციაში.

თქვენ უნდა გაიაროთ შესაბამისი და კონკრეტული პროფესიული კონსულტაცია ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე;

### მესამე მხარის პროდუქტები და მომსახურება

პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან „კაუკასუს კაპიტალს“ („მესამე პირებმა“) შეიძლება მოახდინონ რეკლამირება „კაუკასუს კაპიტალის“ ვებგვერდიდან, მასზე ინტერნეტ-ბმულების, ბანერების განთავსებით ან სხვა გზით. „კაუკასუს კაპიტალი“ არ აგებს პასუხს და არ იღებს არანაირ ვალდებულებას ამგვარი პირების შეთავაზებებზე, ინფორმაციისა თუ ქმედებებზე. თუ თქვენ გადაწყვეტთ რომ იმოქმედოთ ამგვარი რეკლამის საფუძველზე, ამ შემთხვევაში თქვენ იღებთ ამგვარი ქმედების მთელ რისკს თქვენ თავზე.

ვებგვერდზე ჩვენ მიერ განთავსებული მესამე მხარის ინტერნეტგვერდების ბმულები ჩვენი მხრიდან განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ინტერნეტგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ან მომსახურება შეიძლება სასარგებლო იყოს მომხმარებლისათვის. ბმულების განთავსება არ გულისხმობს ასეთ გვერდებზე განთავსებული მოსაზრებების, იდეების, პროდუქტების, ინფორმაციისა და მომსახურების მხარდაჭერას ან მათზე პასუხისმგებლობის აღებას და ჩვენი მხრიდან უარს ვაცხადებთ ამგვარ მხარდაჭერაზე ან წარმომადგენლობაზე. თქვენ სარგებლობთ ამ ბმულებით მხოლოდ თქვენი პირადი რისკით და ჩვენ არ ვიღებთ არანაირ პასუხისმგებლობას ამ ინტერნეტგვერდების შინაარსთან, გამოყენებასთან ან ხელმისაწვდომობასთან მიმართებით. ჩვენ მიერ არ არის გადამოწმებული აღნიშნული ინტერნეტგვერდების შინაარსის სისწორე ან სიზუსტე და არ ვიძლევით გარანტიას, რომ დაცულია

საავტორო, სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებული ან მესამე პირების სხვა უფლებები და რომ ეს ინტერნეტგვერდები ან მათი შინაარსი დაცულია ვირუსებისგან ან სხვა ზიანის მომტანი ფაქტორებისაგან. შესაბამისად, ჩვენ არ ვიძლევიტ არანაირ გარანტიას ან მტკიცებულებას და არ ვაგებთ პასუხს მესამე მხარის მიერ მიღებულ ელექტრონულ მონაცემებზე, მათ შორის, ამ ელექტრონული მონაცემების სიზუსტეზე, შინაარსზე, ხარისხზე ან დროულობაზე.

გარდა ამისა, ასეთ მესამე პირის ინტერნეტგვერდს შესაძლოა გააჩნდეს კონფიდენციალურობის ან უსაფრთხოების წინამდებარე ვებგვერდისაგან განსხვავებული პირობები, შესაბამისად თქვენი პირადი ინფორმაციის გაზიარებამდე მნიშვნელოვანია გაეცნოთ აღნიშნულ პირობებს.

მესამე პირები არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ სხვა ნებისმიერი ინტერნეტგვერდის დაკავშირება/მიბმა წინამდებარე ვებგვერდთან ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

### **გაფრთხილება რისკის შესახებ**

იმ ინსტრუმენტებით ვაჭრობა და მომსახურების გამოყენებამ, რომელთაც გთავაზობთ „კაუკასუს კაპიტალი“, იმ შემთხვევაშიც კი , როცა ეს რეკომენდაციის საფუძველზე ხდება, შეიძლება გამოიწვიოს როგორც მოგება ასევე ზარალი. განსაკუთრებით სპეკულაციური ხასიათისაა ვაჭრობა ე.წ. „ფინანსური ბერკეტის“ მქონე პროდუქტებით, როგორცაა, მაგალითად (მაგრამ არა მხოლოდ), წარმოებული ინსტრუმენტები (დერივატივები), სავალუტო და სანედლეულო კონტრაქტები თუ CFD და, შედეგად, შესაბამისი მოგებაც და ზარალიც შეიძლება მერყეობდეს უაღრესად ძლიერად და სწრაფად.

### **სპეკულაციური ვაჭრობა არ არის შესაფერისი ყველა ინვესტორისთვის**

პუბლიკაციებში არსებული ნებისმიერი ხსენება იმ რისკების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ ინსტრუმენტთან, პროდუქტთან ან მომსახურებასთან, შესაძლოა არ მოიცავდეს (და არც უნდა იქნას გაგებული თითქოს ის მოიცავს) ყოვლისმომცველ შეტყობინებას თუ სრულ აღწერილობას იმ რისკებისა, რომლებიც დაკავშირებულია ამ ინსტრუმენტებით და პროდუქტებით ვაჭრობასთან ან ამ მომსახურების გამოყენებასთან. „კაუკასუს კაპიტალი“ დაჟინებით მოუწოდებს მისი ინსტრუმენტების, პროდუქტებისა და მომსახურების გამოყენებით დაინტერესებულ პირებს გაიარონ შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციები ნებისმიერი ინვესტიციისა თუ გარიგების განხორციელებამდე.

### **ადგილობრივი მარეგულირებელი შეზღუდვები**

მიუხედავად იმისა, რომ „კაუკასუს კაპიტალის“ პუბლიკაციები შეიძლება ხელმისაწვდომი აღმოჩნდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ამ პუბლიკაციებში განთავსებული ინფორმაცია გამოიხსნულია მხოლოდ იმ ქვეყნებში მყოფი პირების მიერ გამოსაყენებლად, რომლებშიც ამგვარი ინფორმაციის გამოყენება არ ჩაითვლება სათანადო ადგილობრივი კანონმდებლობის თუ მარეგულირებელი წესების დარღვევად. პუბლიკაციებში მოხსენიებული „კაუკასუს კაპიტალის“ არცერთი ინსტრუმენტი, პროდუქტი და მომსახურება არაა ხელმისაწვდომი იმ ქვეყნების რეზიდენტთათვის, რომლებშიც ამგვარი ინსტრუმენტის, პროდუქტის ან მომსახურების მიწოდება წარმოადგენს შესაბამისი კანონმდებლობის ან მარეგულირებელი წესების დარღვევას.

ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებს ან ითხოვს რომ გამოიყენოს „კაუკასუს კაპიტალის“ რომელიმე ინსტრუმენტი, პროდუქტი ან მომსახურება, თვითონ სრულად აგებს პასუხს სათანადო კანონმდებლობასა თუ მარეგულირებელ წესებთან შესაბამისობაზე.

### **პასუხისმგებლობის შეზღუდვა**

თუ „კაუკასუს კაპიტალი“ როდისმე ნებისმიერი მიზეზით გახდა პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე რომელიმე პირის მიმართ, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დოკუმენტის ნებისმიერი დებულება არის ან როდესმე გახდება, სრულად ან ნაწილობრივ, რაიმე გარემოებებში, ნებისმიერი მიზეზით, ძალადაკარგული, უკანონო ან აღუსრულებადი, „კაუკასუს კაპიტალის“ პასუხისმგებლობა ამგვარი პირის მიმართ შემოიფარგლება მხოლოდ ამგვარი პირის პირდაპირი დოკუმენტურად დადასტურებული ზიანით, რომელიც, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, არანაირ გარემოებებში არ უნდა მოიცავდეს შესაძლო ან შემდგომი ზარალით მიყენებულ ზიანს, რაიმე შესაძლებლობის თუ შესაძლო მოგების ხელიდან გაშვების შედეგად მიყენებულ ზიანს, კანონმდებლობით თუ წესებით წინასწარ დადგენილ კომპენსაციით მიყენებულ ზიანს, ნომინალურ-სიმბოლურ ზარალს, საჯარიმო სანქციებით მიყენებულ ზიანს, რესტიტუციურ ზიანს, ხარჯებით (მათ შორის იურიდიული ხარჯების) მიყენებულ ზიანს და ნებისმიერი სხვა არაპირდაპირი ზარალით მიყენებულ ზიანს.

### **გამოყენებული სამართალი**

წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, ცხოვრობთ ან „კაუკასუს კაპიტალთან“ საქმიანი ურთიერთობა გაქვთ საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ და ასევე თანხმობას აცხადებთ, რომ ნებისმიერი დავა რომელიც წარმოიშვება ან კავშირშია ამ შეთანხმებასთან ან პუბლიკაციასთან, მათ შორის დაკავშირებული მის კანონიერებასთან, ვალიდურობასთან, მზოჭავ ძალასა თუ აღსრულებადობასთან, საბოლოოდ უნდა იქნას გადაწყვეტილი არბიტრაჟის მიერ, საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის საარბიტრაჟო წესების მიხედვით, საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს თბილისი, საქართველო. საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს ქართულ ენაზე. თუმცა, „კაუკასუს კაპიტალი“ იტოვებს უფლებას, რომ დაიწყოს სამართლებრივი დავის პროცედურები იქ, სადაც ის ამას ჩათვლის შესაფერისად და საჭიროდ, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) იქ, სადაც მასთან მოდავე ან მისი მოპასუხე მხარე ფლობს აქტივებს.

თუ ამ შეთანხმების რომელიმე დებულება ძალადაკარგულია ან ბათილია, შეთანხმების დანარჩენი დებულებები მოქმედებს სრულად. „კაუკასუს კაპიტალი“ იტოვებს უფლებას, რომ ერთპიროვნულად, თავისი შეხედულებისამებრ, შეცვალოს ამ შეთანხმების პირობები ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

### **კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა**

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოება და იმის უზრუნველყოფა, რომ თქვენ გესმოდეთ, თუ როგორ ხდება ამ ინფორმაციის გამოყენება. ამიტომ ჩვენი მიზანია განვიმარტოთ თუ როგორ გამოიყენება და შეინახება ის პერსონალური ინფორმაცია, რომლის გაზიარებასაც თქვენ ახდენთ ჩვენთვის წინამდებარე ვებგვერდის ან სხვა საშუალებით.

„კაუკასუს კაპიტალში“ ჩვეულებრივი ან „დემო“ ანგარიშის გასახსნელად რეგისტრაციისას, ადმინისტრაციული, მარეგულირებელი თუ კომერციული მიზნებისთვის, ხდება მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა, როგორცაა, მაგალითად (მაგრამ არა მხოლოდ) მისი სახელი და მისამართი. ამას გარდა, „კაუკასუს კაპიტალმა“ შესაძლოა მოითხოვოს გარკვეული ფინანსური ინფორმაცია მომხმარებლის (კლიენტის) რისკ-ამტანობის და საკრედიტო რეიტინგის შესაფასებლად; ასევე მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი - მისთვის „კაუკასუს კაპიტალთან“ და მის სავაჭრო პლატფორმასთან ურთიერთობისთვის აუცილებელი ინფორმაციის გასაგზავნად. მომხმარებელთა ელექტრონული ფოსტის მისამართები არ იქნება გაზიარებული მესამე პირებისთვის, მაგრამ შეიძლება იქნას გამოყენებული „კაუკასუს კაპიტალის“ მიერ მისი პროდუქტების და მომსახურების რეკლამირებისთვის.

„კაუკასუს კაპიტალს“ კანონით მოეთხოვება პერსონალური მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და არ აქვს უფლება გადასცეს იგი მესამე პირებს, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

ყველა პერსონალური მონაცემის კონფიდენციალურობა დაცულია და შეიძლება იქნას გამჟღავნებული მესამე მხარისთვის (მაგალითად, ადმინისტრაციული თუ სამართალდამცავი ორგანოებისთვის) მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „კაუკასუს კაპიტალს“ ეს მოეთხოვება შესაბამისი კანონმდებლობით ან თუ არსებობს მომხმარებლის წერილობითი თანხმობა ამგვარ გამჟღავნებაზე. მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გაიხმოს ამგვარი თანხმობა ან მოახდინოს მისი მოქმედებისთვის (ვალიდურობისთვის) აუცილებელ გარემოებათა მოდიფიცირება.

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, „კაუკასუს კაპიტალს“ შეუძლია გაუმჟღავნოს ზოგადი მონაცემები კლიენტის შესახებ (ისეთი როგორცაა მისი სახელი (და გვარი), მისამართი და პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი) იმ კომპანიებს, ფინანსური ინსტიტუტების ჩათვლით, რომლებიც ექვემდებარებიან მონაცემთა კონფიდენციალურობის მკაცრად დაცვის პროფესიონალურ ვალდებულებას და „კაუკასუს კაპიტალისთვის“ წარმოადგენენ ადმინისტრირების, საკლირინგო თუ სხვა მომსახურების პროვაიდერებს. თუ ჩვენ მიერ ინფორმაცია გადაეცემა პროვაიდერ კომპანიას სხვა ქვეყანაში, ჩვენი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება, რათა პროვაიდერმა კომპანიამ თანხმობა განაცხადოს ინფორმაციის იმავე ხარისხით დაცვაზე, რა ხარისხითაც მის დაცვას უზრუნველყოფთ საქართველოში და გამოიყენოს ინფორმაცია მხოლოდ ჩვენთვის გასაწევი მომსახურების ფარგლებში.

თუ ჩვენთან დარეგისტრირებული პირის შესახებ მონაცემი აღმოჩნდა არასწორი ან მოძველებული, „კაუკასუს კაპიტალი“ შეასწორებს ამ მონაცემს დაუყოვნებლივ, ამ პირის მიერ ჩვენთვის შესაბამისი მოთხოვნის მოწოდებისთანავე.

## **უსაფრთხოება**

შეგახსენებთ, რომ ინტერნეტკომუნიკაციები არაა უსაფრთხო, თუ გაგზავნილი მონაცემები არ არის დამიფრული. ჩვენ არ შეგვიძლია ავიღოთ რაიმე სახის პასუხისმგებლობა „კაუკასუს კაპიტალის“ ოფისებში გაგზავნილ მონაცემებზე მესამე პირების მიერ არასანქცირებულ წვდომაზე ან/და ინფორმაციის დაზიანებაზე.

თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ ისეთ გარემოებებში, როდესაც წინამდებარე ვებგვერდზე წვდომისთვის მოგეთხოვებათ იდენტიფიკაცია, კომერციულად გონივრული უსაფრთხოების პროცედურებისა და კონტროლის გამოყენებით შეზღუდვით თქვენი პაროლის ან სხვა საიდენტიფიკაციო ინფორმაციის წვდომას ავტორიზებული პირებით.

თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ არ გამოიყენებთ რობოტს, სხვა ავტომატურ მოწყობილობებს ან ფიზიკურ საშუალებებს, ჩვენი ვებგვერდის, მონაცემების ან მათი შინაარსის მონიტორინგისა და კოპირებისათვის ან სხვა არასანქცირებული მიზნებისთვის, ჩვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

გარანტირებული ვერ იქნება ინტერნეტით განხორციელებული გზავნილების სრული უსაფრთხოება, რადგან ისინი შეიძლება დაექვემდებაროს ჩარევას ან დაკარგვას, ან შეცვლას. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი თქვენი ან ნებისმიერ მესამე პირის წინაშე ზიანისათვის, რომელიც უკავშირდება ჩვენ მიერ თქვენთვის ან თქვენ მიერ ჩვენთვის ინტერნეტის საშუალებით განხორციელებულ გზავნილებს.

კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული დებულებები არ არის უპირატესი იმ წესსა და პირობებთან მიმართებით, რომლებიც არეგულირებს თქვენ მიერ ჩვენი ვებგვერდის გამოყენებას. აღნიშნულ ნორმებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ვებგვერდის გამოყენების წესსა და პირობებს.